

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება:

მთლიანი სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია..... 10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 19
4. ამონაგები 20
5. გაყიდვის თვითღირებულება 20
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 21
7. მარკეტინგული და მიწოდების ხარჯები..... 21
8. საპროცენტო ხარჯები..... 21
9. ძირითადი საშუალებები 22
10. არამატერიალური აქტივები 23
11. მარაგები 23
12. გაცემული სესხები..... 23
13. გადახდილი ავანსები 24
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 24
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 24
16. მიღებული სესხები 25
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 25
18. მიღებული ავანსები 26
19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 29
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები..... 29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს პრაიმ ბეტონის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს პრაიმ ბეტონის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მთლიანი სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები მარაგების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები ზემოთ მოცემული თარიღისათვის წარმოდგენილია 2,601,708 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მოზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით

შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის შედეგებზე, ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
20 დეკემბერი, 2018 წელი

შპს პრაიმ ბეტონი

მთლიანი სრული შემოსავლის ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები	4	10,655,025	20,644,114
გაყიდვის თვითღირებულება	5	(8,867,283)	(14,416,424)
საერთო მოგება		1,787,742	6,227,690
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,594,613)	(2,485,364)
მარკეტინგული და მიწოდების ხარჯები	7	(440,710)	(549,285)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	14	(218,003)	(197,298)
წმინდა სხვა საოპერაციო (ხარჯი) შემოსავალი		(126,368)	4,211
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(1,591,952)	2,999,954
საპროცენტო ხარჯები	8	(265,547)	(459,691)
საკურსო-სხვაობით გამოწვეული (ზარალი) მოგება, ნეტო		592,650	(294,803)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(1,264,849)	2,245,460
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(1,264,849)	2,245,460

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 20 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ა. სოკოლოვსკი

ფინანსური მენეჯერი



თ. მარკოზაშვილი

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	5,403,169	5,797,048
არამატერიალური აქტივები	10	140,738	183,184
		5,543,907	5,980,232
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	2,601,708	3,014,534
გაცემული სესხები	12	-	-
გაცემული ავანსები	13	58,798	177,402
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,175,609	2,466,509
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	24,044	106,323
		4,860,159	5,764,768
სულ აქტივები		10,404,066	11,745,000
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,007,412	1,007,412
გაუნაწილებელი მოგება		4,177,446	5,442,295
		5,184,858	6,449,707
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	621,462	1,139,552
გადავადებული შემოსავალი მიღებული გრანტიდან		65,877	98,816
		687,339	1,238,368
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	2,038,485	1,307,078
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,054,549	1,952,641
მიღებული ავანსები	18	438,835	797,206
		4,531,869	4,056,925
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,404,066	11,745,000

შპს პრაიმ ბეტონი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	1,007,412	3,196,835	4,204,247
მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,245,460	2,245,460
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	1,007,412	5,442,295	6,449,707
მთლიანი სრული ზარალი	-	(1,264,849)	(1,264,849)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	1,007,412	4,177,446	5,184,858

შპს პრაიმ ბეტონი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		(1,264,849)	2,245,460
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია		854,426	330,074
საპროცენტო ხარჯი, ნეტო	8	265,547	459,691
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	9	16,911	-
ფინანსური აქტივების გაუფასურება	14	218,003	197,298
შემოსავალი მიღებული გრანტიდან		(32,939)	(17,438)
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან		(592,650)	294,803
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		(535,551)	3,509,888
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში:			
მარაგების შემცირება		412,826	507,356
გადახდილი ავანსების ზრდა		(59,223)	(22,415)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო მოთხოვნები		1,312,229	(187,045)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		347,260	(67,480)
შემცირება მიღებული ავანსები		(358,371)	(270,125)
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		1,119,170	3,470,179
გადახდილი პროცენტი		(201,115)	(106,854)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		918,055	3,363,325
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,900,525)	(338,226)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(10,777)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(1,911,302)	(338,226)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხები		5,026,389	1,314,125
გადახდილი სესხები		(4,116,588)	(4,287,991)
გაცემული სესხების ზრდა		-	(162,000)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		909,801	(3,135,866)
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება		(83,446)	(110,767)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	15	106,323	236,237
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		1,167	(19,147)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	15	24,044	106,323

10 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

პრაიმ ბეტონი (შემდეგში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს), რომელიც დაფუძნდა 2008 წელს.

კომპანიას ფლობელები წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

	2017	2016
შპს პრაიმ მენეჯმენტ კომპანი	65%	65%
ლაშა ჭიპაშვილი	15%	15%
გიორგი ახვლედიანი	6.67%	6.67%
ზურაბ დავლიანიძე	6.67%	6.67%
ალექსანდრე სოკოლოვსკი	6.66%	6.66%
	100%	100%

შპს პრაიმ მენეჯმენტ კომპანიის მფლობელები და კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

	2017	2016
გიორგი ახვლედიანი	34%	34%
ზურაბ დავლიანიძე	33%	33%
ალექსანდრე სოკოლოვსკი	33%	33%
	100%	100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მომსახურების გაწევა, სამშენებლო მასალების წარმოება და მიწოდება. კომპანია ერთ-ერთი ლიდერია ბაზარზე ბეტონის და ხრემის წარმოებით.

კომპანიის დირექტორია ალექსანდრე სოკოლოვსკი და იურიდიული მისამართია ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი 1.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელებსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელებს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალ სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს მომავალში გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქვეყნდა ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადადღე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს. კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ სრულ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით, იმის მიხედვით თუ რა მიზნით არის შეძენილი ესა თუ ის აქტივი. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გადაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც განაგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. რეზერვის ზარალის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურება გამოითვლება აქტივების რისკებთან დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე და ასახავს ოდენობას, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით სავარაუდოა გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგების გადასაფარად. ფინანსური აქტივები რომელთა ინდივიდუალური გაუფასურების შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად და იმის გარსაკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეს ჯგუფზე. ამ ანალიზის საფუძველზე იქმნება რეზერვები. ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე კოლექტიურად შესაფასებლად მათი დაჯგუფება ხდება საკრედიტო რისკებისადმი მსგავსი მახასიათებლების მიხედვით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას (მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით პირდაპირ ან შესაბამისი გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის

მპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით და ერიცხება მანამ სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ იქნება სალიკვიდაციო ღირებულების ტოლი. ცვეთის დათლისთვის გამოყენებული იყო შემდეგი განაკვეთები:

- შენობები და ნაგებობები - 5%
- ბეტონის ქარხანა - 20%
- სამშენებლო აღჭურვილობა - 20%
- სატრანსპორტო საშუალებები - 20%
- ოფისის აღჭურვილობა - 20%

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოხილვა ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, რესტროსპექტულად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, ისინი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით. პროგრამულ უზრუნველყოფაზე დარიცხული ამორტიზაცია წარდგება ადმინისტრაციულ ხარჯებში, ხოლო ლიცენზიებზე დარიცხული ამორტიზაცია კაპიტალიზირდება მოპოვებული ბალანსის თვითღირებულებაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოხილვა ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, რესტროსპექტულად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი წარდგენა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან. მარაგების თვითღირებულების ჩამოწრა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები განგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

იჯარა

ფინანსური იჯარა - კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადმოცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივის და ვალდებულება საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებისათვის

გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. თუ მისი დადგენა შეუძლებელია გამოყენებულია ჯგუფის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი. ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე ნაწილდება, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

ფინანსური იჯარა წარმოშობს ცვეთადი აქტივის ცვეთის ხარჯს, ასევე ფინანსურ ხარჯს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსურ იჯარაზე ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა შეესაბამება ჯგუფის მიერ არჩეულ ცვეთის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება ჯგუფის მიერ ფლობილი აქტივებისათვის. თუ არ არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ ჯგუფს გადმოეცემა აქტივი ფინანსური იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილ აქტივს ცვეთა ერიცხება ფინანსური იჯარის ვადასა და სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

სამშენებლო კონტრაქტები

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები უნდა აღიარდეს საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რაც განისაზღვრება აღნიშნული თარიღისათვის გაწეული საკონტრაქტო დანახარჯების მთლიან დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მეთოდი ვერ ასახავს შესრულებული სამუშაოების რეალურ დონეს.

როდესაც მიმდინარე თარიღამდე გაწეულ საკონტრაქტო დანახარჯებს დამატებული აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა აჭარბებს მიღებულ თანხებს, ეს ნამეტი წარდგება, როგორც კლიენტებისგან მისაღები თანხები საკონტრაქტო სამუშაოებიდან. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, როდესაც მიღებული სახსრები აჭარბებს საკონტრაქტო დანახარჯებს დამატებული აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას - ნამეტი წარდგება, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებთან დაკავშირებული ვალდებულება კლიენტების მიმართ. შესრულებულ სამუშაოებზე კლიენტებისთვის გამოწერილი თანხები, რომელიც ჯერ არაა ანაზღაურებული წარდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. ეს კრიტერიუმი კმაყოფილდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა მყიდველს. როდესაც მყიდველს აქვს უკან დაბრუნების უფლება, მაშინ კომპანია არ აღიარებს შემოსავალს, სანამ უკან დაბრუნების უფლების გაუქმება მოხდება.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინა არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მიღებული გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ: ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება შემოსავლად მთლიანი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას (ან მოცულობის მიხედვით გვირაბის საბურღი მანქანებისთვის). სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ამონაგები

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტები	9,799,278	19,053,883
ბეტონის რეალიზაცია	593,240	797,794
ქვიშისა და ღორღის რეალიზაცია	206,093	678,438
სხვა	56,414	113,999
	10,655,025	20,644,114

კომპანია თავის კლიენტებს სთავაზობს საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიაში გამოყენებულ ყველა სახის ბეტონს და სთავაზობს სამშენებლო უბნებზე ბეტონის მიწოდებისა და ამოტუმბვის სრულ მომსახურებას.

სამშენებლო კონტრაქტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტებიდან პერიოდის განმავლობაში აღიარებული შემოსავალი	9,799,278	19,053,883
ხელშეკრულების მიხედვით გაწეული ხარჯები	(8,130,393)	(13,570,104)
	1,668,885	5,483,779
კლიენტებისგან მიღებული თანხები სამშენებლო სამუშაოებისთვის	489,047	-
კლიენტებისთვის გადახდილი თანხები სამშენებლო სამუშაოებისთვის	38,711	-
საგარანტიო მოთხოვნა	1,056,949	1,398,961
მიღებული ავანსები	432,669	789,023

კომპანია განსაზღვრავს კონტრაქტის დასრულების ეტაპს. კომპანია იყენებს პროპორციულობის მეთოდს, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას შეფასებულ სახელშეკრულებო დანახარჯების თანხასთან.

5. გაყიდვის თვითღირებულება

	2017	2016
სამშენებლო მასალები	(4,546,017)	(7,336,982)
ხელფასები	(1,928,918)	(2,712,989)
მესამე მხარისთვის გაწეული მომსახურება	(1,502,344)	(2,114,252)
იჯარა	(156,371)	(758,457)
საწვავი	(334,353)	(581,303)
ცვეთა და ამორტიზაცია	(311,682)	(427,522)
ტრანსპორტირება	(14,286)	(299,713)
სხვა	(73,312)	(185,206)
	(8,867,283)	(14,416,424)

პირდაპირი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არიან იმ ტიპის შემოსავლებთან, რომლებიც წარდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტები	(8,130,393)	(13,570,104)
ბეტონის რეალიზაცია	(513,889)	(556,951)
ქვიშისა და ღორღის რეალიზაცია	(173,644)	(238,371)
სხვა	(49,357)	(50,998)
	(8,867,283)	(14,416,424)

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ხელფასის ხარჯი	(899,365)	(1,094,097)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(682,972)	(657,373)
ცვეთა და ამორტიზაცია	(159,968)	(110,158)
საკონსულტაციო ხარჯები	(151,939)	(82,446)
საწვავი	(103,252)	(99,063)
დაცვის ხარჯი	(72,071)	(89,671)
დაზღვევა	(91,110)	-
იჯარა	(51,218)	(76,005)
გადასახადები	(57,458)	-
მივლინება	(28,187)	(58,620)
ბანკის საკომისიო	(5,358)	(25,822)
სხვა	(291,715)	(192,109)
	<u>(2,594,613)</u>	<u>(2,485,364)</u>

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია 20-ე შენიშვნაში.

7. მარკეტინგული და მიწოდების ხარჯები

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ხელფასის ხარჯი	(155,237)	(76,416)
მიწოდების ხარჯი	(136,206)	(287,760)
საწვავი	(83,070)	(92,987)
ცვეთა	(66,197)	(78,732)
სხვა	-	(13,390)
	<u>(440,710)</u>	<u>(549,285)</u>

8. საპროცენტო ხარჯები

	<u>2017</u>	<u>2016</u>
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებულია შემდეგ ვალდებულებებთან:		
მიღებული სესხები	(199,565)	(422,352)
ფინანსური იჯარა	(65,982)	(37,339)
	<u>(265,547)</u>	<u>(459,691)</u>

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენიშები და ნაგებობები	ბეტონის ქარხანა	სამშენებლო აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
2015 წლის 31 დეკემბერი	780,678	926,797	1,271,781	2,690,485	3,049,689	209,054	8,928,484
შემოსავლა	19,914	627,836	475,872	27,874	466,030	2,844	1,620,370
გასვლა	-	-	-	-	(11,050)	-	(11,050)
2016 წლის 31 დეკემბერი	800,592	1,554,633	1,747,653	2,718,359	3,504,669	211,898	10,537,804
შემოსავლა	-	-	-	6,924	412,609	4,703	424,236
გასვლა	-	-	-	-	(11,366)	-	(11,366)
2017 წლის 31 დეკემბერი	800,592	1,554,633	1,747,653	2,725,283	3,905,912	216,601	10,950,674
დაგროვილი ცვეთა	-	(323,522)	(840,262)	(1,206,410)	(1,469,773)	(86,564)	(3,926,531)
2015 წლის 31 დეკემბერი	-	(33,429)	(148,852)	(283,409)	(333,627)	(23,351)	(822,668)
ცვეთა	-	-	-	-	8,443	-	8,443
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(356,951)	(989,114)	(1,489,819)	(1,794,957)	(109,915)	(4,740,756)
ცვეთა	-	(60,128)	(139,070)	(225,581)	(362,657)	(20,068)	(807,504)
გასვლა	-	-	-	-	755	-	755
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(417,079)	(1,128,184)	(1,715,400)	(2,156,859)	(129,983)	(5,547,505)

წმინდა საბალანსო ღირებულება

2016 წლის 31 დეკემბერი	800,592	1,197,682	758,539	1,228,540	1,709,712	101,983	5,797,048
2017 წლის 31 დეკემბერი	800,592	1,137,554	619,469	1,009,883	1,749,053	86,618	5,403,169

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით (წყეტო საბალანსო ღირებულებით): მიწები - 762,700 ლარის; შენობები და ნაგებობები - 664,356 ლარის; სატრანსპორტო საშუალებები - 458,260 ლარის; ბეტონის ქარხანა - 123,431 ლარის.

კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო აღჭურვილობა წეტო საბალანსო ღირებულებით 321,222 და 39,748 ლარის, შესაბამისად, ჩადებულია ფინანსური ლიზინგის უზრუნველსაყოფად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის მოქმედებებისთვის და იმ კომპანიებისთვის რომლებთანაც სამშენებლო კონტრაქტები აქვს, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის აქვს აღებული გარანტიები ადგილობრივი სადაზღვეო კომპანიიდან. გაფორმებული საგარანტიო ხელშეკრულებების შესაბამისად გარანტიები უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით (წყეტო საბალანსო ღირებულებით): სატრანსპორტო საშუალებები - 138,654 ლარის, სამშენებლო აღჭურვილობა - 279,297 ლარის; ბეტონის ქარხანა - 141,009 ლარის;

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	პროგრამული	სულ
		უზრუნველყოფა	
2015 წლის 31 დეკემბერი	209,807	266,052	475,859
შემოსვლა	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	209,807	266,052	475,859
შემოსვლა	10,776	-	10,776
ჩამოწერა	(123,346)	-	(123,346)
2017 წლის 31 დეკემბერი	97,237	266,052	363,289
დაგროვილი ამორტიზაცია			
2015 წლის 31 დეკემბერი	(130,496)	(117,092)	(247,588)
ამორტიზაცია	(13,318)	(31,769)	(45,087)
2016 წლის 31 დეკემბერი	(143,814)	(148,861)	(292,675)
ამორტიზაცია	(10,694)	(36,228)	(46,922)
ჩამოწერა	117,046	-	117,046
2017 წლის 31 დეკემბერი	(37,462)	(185,089)	(222,551)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბერი	65,993	117,191	183,184
2017 წლის 31 დეკემბერი	59,775	80,963	140,738

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ქვიშა/ღორღის მოპოვებისთვის საჭირო ორი აქტიური ლიცენზია. ლიცენზიები შეძენილია 2015 წლის 5 ივლისსა და 2017 წლის 22 ივნისს, ორივეს სასარგებლო მომსახურების ვადა წარმოადგენს 5 წელს. მიღებული ლიცენზიის მაქსიმალური გამოიმუშავება წამოადგენს 586, 200 და 71,700 კუბურ მეტრს, შესაბამისად.

11. მარაგები

	2017	2016
სამშენებლო მასალები	2,266,615	2,794,954
სათადარიგო ნაწილები	150,243	144,626
დასრულებული საქონელი	63,305	25,334
საწვავი	121,545	49,620
	2,601,708	3,014,534

12. გაცემული სესხები

	დასრულების	საპროცენტო	2017	2016
	თარიღი	განაკვეთი		
კახაბერ მაისურაძე	31-12-18	11%	424,530	834,970
გაუფასურების რეზერვი			(424,530)	(834,970)

გაცემულ სესხებზე გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ნაშთი 1 იანვარი	(834,970)	(705,826)
რეზერვის ზრდა	-	(129,144)
ჩამოწერა	410,440	-
ნაშთი 31 დეკემბერი	(424,530)	(834,970)

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

13. გადახდილი ავანსები

	2017	2016
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	309,132	257,294
სხვა გადახდილი ავანსები	77,376	69,991
გაუფასურების რეზერვი	(327,710)	(149,883)
	<u>58,798</u>	<u>177,402</u>

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
საგარანტიო მოთხოვნა	1,056,949	1,398,961
სავაჭრო მოთხოვნები	513,661	915,186
მომხმარებლებისგან მისაღები თანხები	489,047	-
სხვა მოთხოვნები	169,684	193,618
გაუფასურების რეზერვი	(53,732)	(41,256)
	<u>2,175,609</u>	<u>2,466,509</u>

ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე	2,129,076	2,466,509
ვადაგადაცილებული და ინდივიდუალურად	100,265	41,256
გაუფასურებული	<u>2,229,341</u>	<u>2,507,765</u>

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვში:

	2017	2016
1 იანვრის მდგომარეობით	(191,139)	(170,393)
რეზერვის ზრდა	(218,003)	(68,154)
მოთხოვნის ჩამოწერა	27,700	47,408
31 დეკემბრის მდგომარეობით	(381,442)	(191,139)

სავაჭრო მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 19-ე შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული ბანკში	18,698	78,759
ნაღდი ფული	5,346	27,564
	<u>24,044</u>	<u>106,323</u>

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

16. მიღებული სესხები

	2017	2016
გრძელვადიანი:		
მიღებული სესხები		
ფინანსური ინსტიტუტი	571,462	992,871
ფიზიკური პირები	50,000	-
ფინანსური იჯარა	-	146,681
	621,462	1,139,552
მოკლევადიანი:		
მიღებული სესხები		
ფინანსური ინსტიტუტი	1,237,649	330,529
ფიზიკური პირები	604,867	436,714
ფინანსური იჯარა	195,969	539,835
	2,038,485	1,307,078

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გრძელვადიანი სესხები დაიფარება 2019 წლის განმავლობაში. საპროცენტო განაკვეთი ყველა სესხისთვის არის ფიქსირებული და გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად არის ფინანსური ინსტიტუტებისთვის 7%-10%-მდე, ხოლო ფიზიკური პირებისთვის - 9.5%-25%-მდე.

ძირითადი საშუალებები ჩადებულია მიღებული სესხებისა და ფინანსური ლიზინგის უზრუნველყოფაში (დეტალები განმარტებულია მე-9 შენიშვნაში)

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

ფინანსური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შედარება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,446,630)
ძირის გადახდა	4,116,588
სალიზინგო ვალდებულებების გადახდა	552,783
პროცენტის გადახდა	201,115
საკურსო სხვაობების ეფექტი	143,316
საპროცენტო ხარჯი	(265,547)
სესხის აღება	(5,026,389)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დანეტება	64,817
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,659,947

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები ქვეკონტრაქტორებთან	423,802	576,229
ვალდებულებები მომწოდებლებთან	819,080	721,291
სახელფასო ვალდებულებები	158,780	46,608
სხვა ვალდებულება	338,811	352,656.00
	1,740,473	1,696,784
არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	275,365	255,857
მომხმარებლის წინაშე არსებული ვალდებულება	38,711	-
	314,076	255,857
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,054,549	1,952,641

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

18. მიღებული ავანსები

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული ავანსები	432,669	789,023
სხვა მიღებული ავანსები	6,166	8,183
	438,835	797,206

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- გაცემული სესხები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- ფული ბანკში
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	2017	2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,175,609	2,466,509
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,698	78,759
	2,194,307	2,545,268

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმის და მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებებს აქვს ერთ წლამდე ლიკვიდურობა, გარდა მიღებული სესხებისა ღირებულებით 621,462 ლარი და 1,139,552 ლარი, შესაბამისად.

ლიკვიდურობის სხვაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017		2016	
	ერთ წლამდე	1 დან 5 წლამდე	ერთ წლამდე	1 დან 5 წლამდე
ლიკვიდურობის სხვაობა	(1,584,651)	(621,462)	(458,594)	(1,139,552)
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(1,584,651)	(2,206,113)	(458,594)	(1,598,146)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	979,883	-	1,195,726	2,175,609
ფული და ფულის ეკვივალენტები	24,044	-	-	24,044
	1,003,927	-	1,195,726	2,199,653
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	758,327	1,901,620	-	2,659,947
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,699,037	41,436	-	1,740,473
	2,457,364	1,943,056	-	4,400,420
ღია საბალანსო პოზიცია	(1,453,437)	(1,943,056)	1,195,726	(2,200,767)

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	885,168	409,349	1,171,992	2,466,509
ფული და ფულის ეკვივალენტები	106,323	-	-	106,323
	991,491	409,349	1,171,992	2,572,832
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	357,840	2,088,790	-	2,446,630
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,652,806	43,978	-	1,696,784
	2,010,646	2,132,768	-	4,143,414
ღია საბალანსო პოზიცია	(1,019,155)	(1,723,419)	1,171,992	(1,570,582)

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	2017	2017	2016	2016
	+20%	-20%	+20%	-20%
სავალუტო რისკის მგრძობელობა				
აშშ დოლარის ეფექტი	(388,611)	388,611	(344,684)	344,684
ევროს ეფექტი	239,145	(239,145)	234,398	(234,398)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, შედეგად კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს პრაიმ ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2017		2016	
	საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
შემიწილი მარაგები	107,034	-	438,480	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(55,268)	-	-	-
მიღებული სესხები	-	(534,978)	-	(318,673)
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო ხარჯი	-	(70,891)	-	(34,368)
ხელფასები	-	(293,340)	-	(428,638)

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

2018 წლის 26 თებერვალს გაფორმებული წილის გადაცემის ხელშეკრულების შესაბამისად შპს გაზელ ფაინენსი გახდა 14%-იანი წილის მფლობელი კომპანიაში. ამავე ხელშეკრულების შესაბამისად წილები შეუმცირდათ შემდეგ მფლობელებს: ლაშა ჭიპაშვილს - 3%-ით, ალექსანდრე სოკოლოვსკს 3,66%-ით, გიორგი ახვლედიანსა და ზურაბ დავლიანიძეს 3,67%-ით.

2018 წლის სექტემბერში კომპანიამ აიღო სესხი პროკრედიტბანკისგან 1,433,000 ლარის ოდენობით. სესხის დაფარვის ვადაა ხუთი წელი.